



„ევროკავშირი გარემოსთვის“ საქართველოს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულებაში ეხმარება

თბილისი, 2022 წლის 16 მარტი

„ევროკავშირი გარემოსთვის“ ეხმარება საქართველოს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) სისტემის საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისობაში მოსაყვანად. კოდექსში [ევროკავშირის სგშ-ს დირექტივის](#) და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სგშ პროტოკოლის მოთხოვნები იქნა გადმოტანილი. აღნიშნული დახმარების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში მიმდინარე საპილოტე სგშ პროექტი სივრცის დაგეგმარების შესამუშავებლად. სგშ-ს მეშვეობით საქართველოს შეუძლია, რომ გარემოს დაცვასთან, კლიმატსა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ამოცანები თავის სტრატეგიულ დოკუმენტში ასახოს. ამავდროულად, ის ეფექტური ინსტრუმენტია მდგრადი განვითარებისა და გლობალური კლიმატის მიმართ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. სივრცით დაგეგმარებაში სგშ-ს გამოყენებით, ქალაქებში ისევ გაჩნდება ბუნებრივი გარემო და ეს წვლილს შეიტანს მეტი მწვანე ინვესტიციების განხორციელებაში.

საპილოტე პროექტის დაწყების ვირტუალურ ღონისძიებაზე საუბრისას, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, ქანა მზია გიორგობიანმა აღნიშნა: „*სივრცით დაგეგმარებასა და სგშ-ს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი არსებობს. მოცემული საპილოტე სგშ პროექტი მნიშვნელოვანია და ეს იქნება სახელმძღვანელო საგზაო რუკა სხვა მუნიციპალიტეტებისთვის, სამომავლოდ მსგავსი დოკუმენტების მომზადებისთვის.*“

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება გამოიყენოს სამთავრობო გეგმების, პროგრამებისა და სხვა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების დროს. აღნიშნული საპილოტე პროექტი პრაქტიკულ სწავლებას უზრუნველყოფს, ანალიტიკური, საკონსულტაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჩათვლით, ამ სფეროში სგშ-ს გამოყენების მიზნით და იგი სივრცითი გეგმების შემუშავების პარალელურად განხორციელდება. საბოლოო ჯამში, ეს საპილოტე სგშ რეკომენდებული მაგალითი გახდება სივრცის დაგეგმარებაში სგშ-ს გამოყენებისათვის საქართველოში. სივრცის დაგეგმარება ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ყოვლისმომცველი სექტორია, სადაც სგშ სისტემატურად და ეფექტურად გამოიყენება გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

Action implemented by:



აღნიშნული საპილოტე პროექტის დაწყებას მიემდვნა ვირტუალური ღონისძიება, რომელიც UNECE-ს მიერ იქნა ორგანიზებული 2022 წლის 16 მარტს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სადაც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლები, ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები სგმ-ს მიზნებს გაეცნენ და უფრო დეტალურად განიხილეს მისი განხორციელების უპირატესობები თუ პოტენციური შეზღუდვები.

ალექსანდრე დარასმა, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის კავშირის, ენერჯის, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებების სექტორის პროექტის ხელმძღვანელმა აღნიშნა: *„დადებითი მოვლენაა, რომ საქართველოში გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი იქნა მიღებული და რომ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებები ახლა სავალდებულო იქნება მნიშვნელოვანი პროგრამებისა და სტრატეგიული დოკუმენტებისთვის. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ „ევროკავშირი გარემოსთვის“ პროგრამის მეშვეობით გურჯაანის მუნიციპალიტეტისთვის ორი სივრცითი გეგმის საპილოტე სგმ განხორციელდება. პრაქტიკა ყველაზე კარგი მასწავლებელია. ვიმედოვნებ, რომ გურჯაანში „ევროკავშირი გარემოსთვის“ პროგრამის ექსპერტებთან ერთად შესრულებული სამუშაო სამაგალითო გახდება მომავალი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებებისთვის, საქართველოში განსახორციელებელი სივრცითი დაგეგმარებისთვის, რაც ასევე ხელს შეუწყობს საქართველოს მუნიციპალიტეტებს, რომ კიდევ უფრო მდგრადი და ეკოლოგიურად კეთილმეგობრულები გახდნენ.“*

„ევროკავშირი გარემოსთვის“, რომელიც ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული, მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს, საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკას და უკრაინას, რათა დაცული და უკეთ გამოყენებული იქნას მათი ბუნებრივი კაპიტალი, ადამიანების გარემოსდაცვითი კეთილდღეობა გაუმჯობესდეს და განვითარების ახალი შესაძლებლობები იქნას რეალიზებული. „ევროკავშირი გარემოსთვის“ პროგრამის ბიუჯეტი დაახლოებით 20 მილიონ ევროს შეადგენს ექვსივე ქვეყნისთვის და ის 2019-2022 წლებში განხორციელდება ხუთი საერთაშორისო პარტნიორის მხარდაჭერით: OECD, UNIDO, UNEP, UNECE და მსოფლიო ბანკი.

<https://www.eu4environment.org>

ლეონიდ კალაშნიკი, „ევროკავშირი გარემოსთვის“ პროექტის მენეჯერი გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიაში (UNECE), leonid.kalashnyk@un.org